

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №54

ქ. თბილისი

2019 წლის 16 აგვისტო

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების განახლებული გეგმა (Program Closeout Plan) (დანართი 1ბ) და ინფორმაცია პროგრამის დასრულების გეგმის შესახებ (დანართი 1ა).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) სალიკვიდაციო კომისიის შექმნის საკითხი.
3. სიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ინჟინერ-კონსულტანტს, სიმონ ნემსაძეს შორის 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებულ PP08-A1/GEP/CS/IC/01-2 ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი (დანართი 2ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილების თაობაზე (დანართი 2ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების განახლებული გეგმა (Program Closeout Plan) (დანართი 1ბ) და ინფორმაცია პროგრამის დასრულების გეგმის შესახებ (დანართი 1ა).
2. ა) დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ეუდოსია ანდო - მენეჯერი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ფისკალური აგენტი, კომპანია „Cardno Emerging Markets USA, Ltd“; ლევან გუჯაბიძე - ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, ფისკალური აგენტი, კომპანია „Cardno Emerging Markets USA, Ltd“; სოფიო გოდერძიშვილი - ფინანსური აღრიცხვის უფროსი სპეციალისტი, ფისკალური აგენტი, კომპანია „Cardno Emerging Markets USA, Ltd“.
- ბ) 2019 წლის 29 ოქტომბრამდე სალიკვიდაციო კომისიამ სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს სალიკვიდაციო ანგარიში დასამტკიცებლად.

3. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ინჟინერ-კონსულტანტს, სიმონ ნემსაძეს შორის 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებულ PP08-A1/GEP/CS/IC/01-2 ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ცვლილება (დანართი 2ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე (დანართი 2ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

მამუკა ბახტაძე
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ბატიაშვილი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




ივანე მაჭავარიანი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე
საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

